ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების წესი

1. უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება.
2. შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება ხდება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესში“ მოცემული ძირითადი პრინციპების შესაბამისად.
3. უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ფაკულტეტი/სკოლა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის იმავე მიმართულების ან მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ შიდა ან გარე მობილობით.
4. უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და ერთი ფაკულტეტიდან/სკოლიდან სხვა ფაკულტეტზე/სკოლაში გადასვლა ხდება შიდა მობილობის წესით. სტუდენტთა სხვა ფაკულტეტზე/პროგრამაზე გადაყვანის დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შიდა მობილობისგან განსხვავებული ვადები.
5. ფაკულტეტმა/სკოლამ წინასწარ უნდა დაგეგმოს და გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამების სტუდენტთა გადაყვანის პროცედურების უნივერსიტეტის მიერ წელიწადში ორჯერ გამოცხადებულ შიდა მობილობით განსაზღვრულ ვადებში მოქცევა. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტს წინასწარ ეცნობება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების, შიდა მობილობის ვადებისა და განსახორციელებელი პროცედურის შესახებ.
6. თუ პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილება არ ემთხვევა შიდა მობილობის რეგულარულ ვადებს, უნივერსიტეტი ამ პროგრამაზე დარეგისტრირებულ სტუდენტთათვის აცხადებს რიგგარეშე შიდა მობილობას. შიდა მობილობის პროცედურა დარეგულირებულია ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესით“.
7. საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩაბარებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები (იმ

სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ);

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩაბარებული აქვს ტესტის შესაბამისი ტიპი;

გ) აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამის წინაპირობებს.

8. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების (მოდიფიცირების) შემთხვევაში, რაც გამოწვეულია მისი განმეორებით აკრედიტაციით ან მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანით, თუ მნიშვნელოვნად არ იცვლება პროგრამის ძირითადი შინაარსი, სწავლის შედეგები და/ან მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის როგორც აქტიური სტატუსის ასევე სტატუსშეჩერებული სტუდენტები სწავლას აგრძელებენ შეცვლილ (მოდიფიცირებულ) საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოდიფიცირებული პროგრამის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. იგივე რეჟიმი გავრცელდება იმ საგანმანათლებლო პროგრამებზეც, რომლებსაც აკრედიტაციის ვადის წყვეტის გამო მიენიჭება აკრედიტაცია, როგორც ახალ პროგრამებს.
9. მე-8 პუნქტში აღწერილი ცვლილების შემთხვევაში, ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს აცნობებს პროგრამაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე მათი შეცვლილ(მოდიფიცირებულ) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. ამავდროულად, ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, დეკანის შუამდგომლობით რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს სტუდენტთა შეცვლილ (მოდიფიცირებულ) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. აღნიშნული სამართლებრივი აქტით ფაკულტეტს/სკოლას წარმოეშობა ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში, დათქმულ ვადაში მოამზადოს და დეკანის ბრძანებით დაამტკიცოს სტუდენტთა თავსებადობის დასკვნები/ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც ასევე შეთანხმებული იქნება სტუდენტებთან.
10. თუ პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლისა და პროგრამის ცვლილებების/ხელახალი აკრედიტაციის ვადა არ ემთხვევა ერთმანეთს, ფაკულტეტის წარდგინებით დოქტორანტურის საფეხურისა და რეგულირებადი პროფესიების სტუდენტებს უჩერდებათ სტატუსი ზემოთ აღნიშნული სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრამდე ან საჭიროების შემთხვევაში(ფაკულტეტის/სკოლის შუამდგომლობის საფუძველზე) შიდა მობილობის წესით სწავლას აგრძელებენ სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.
11. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შეცვლის ან გაუქმებისას, უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისთვის სხვა ფაკულტეტზე/პროგრამაზე გადაყვანის გამო, უარესდება სტუდენტის ფინანსური მდგომარეობა, შეღავათის გაწევის შესახებ საკითხს განიხილავს ფაკულტეტი/სკოლა და საკუთარ მოსაზრებას წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.